კინგსის ქართული ენის ოლიმპიადა

I ტური

მე-4 კლასი

სავარჯიშო I. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი: (60 ქულა)

1. რამდენი არსებითი სახელია წინადადებაში: „ზებუნებრივმა სიხარულმა აღავსო ორივე მწყემსის გული.''
   ა) სამი ბ) ოთხი გ) ხუთი
2. რამდენი სხვადასხვა საზოგადო არსებითი სახელია წინადადებაში: „ცხვრის მწყემსები სულთა მწყემსებად გადაიქცნენ.“
   ა) ერთი ბ) ორი გ) სამი
3. რამდენი საკუთარი სახელია წინადადებაში: ,,ხუთი წლის შემდეგ მამა გიორგი ისევ მთაწმინდაზე დაბრუნდა.“
   ა) ერთი ბ) ორი გ) სამი
4. წინადადებაში ხაზგასმული სიტყვები არის: „ქართველმა ერმა <u>ღირსეული</u> პატივი მიაგო თავის <u>საამაყო</u> შვილს.“
   ა) არსებითი სახელები ბ) რიცხვითი სახელები გ) ზედსართავი სახელები
5. „შეიხსენი საქართველოს მიწა, დადე აი, აქ, <u>პატარა</u> მაგიდაზე.“ - წინადადებაში ხაზგასმულ სიტყვას დაესმის კითხვა:
   ა) როგორი? ბ) რამდენი? გ) სადაური?
6. რამდენგვარი გვაქვს რიცხვითი სახელი?
   ა) სამგვარი ბ) ოთხგვარი გ) ხუთგვარი
7. რომელი ჯგუფისაა რიცხვითი სახელი წინადადებაში: „ორმოცი წლის სახელგანთქმული მხატვარი, გრავიორი და კალიგრაფი ანთიმოზი ივლახეთის მთავარმა სტამბოლიდან ბუქარესტში წაიყვანა.“
   ა) რაოდენობითი ბ) რიგობითი გ) წილობითი
8. ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის რიგობითი რიცხვითი სახელები?
   ა) მერვე, ოცდამეათე ბ) სამოცი, ასი გ) მეთხუთმეტე, მესამოცე
9. რომელია გაურკვეველი რიცხვითი სახელი?
   ა) ოთხი ბ) ორასი გ) უამრავი
10. რომელი არ არის სწორად დაწერილი რიცხვითი სახელი?
    ა) მეათე ბ) მეოცდამეერთე გ) მეასე
11. ხაზგასმული სიტყვა არის: „<u>თქვენ</u> სულგანაბული უსმენდით ექვთიმეს მონათხრობს.“
    ა)პირის ნაცვალსახელი ბ)კუთვნილებითი ნაცვალსახელი გ)ჩვენებითი ნაცვალსახელი
12. ხაზგასმული სიტყვა არის: „<u>ეს</u> ტრადიციული ქართული ლურჯი სუფრაა.“
    ა)პირის ნაცვალსახელი ბ)კუთვნილებითი ნაცვალსახელი გ)ჩვენებითი ნაცვალსახელი
13. რომელი ჯგუფისაა ჩამოთვლილი ნაცვალსახელები: თქვენი,მათი,ჩემი?
    ა) პირის ბ) კუთვნილებითი გ) ჩვენებითი
14. რამდენი მოქმედების გამომხატველი სხვადასხვა სიტყვაა წინადადებაში:
    „თოვდა და თოვდა, ქროდა და ქროდა...ის იცინოდა.“?
    ა) ერთი ბ) ორი გ) სამი
15. რომელ დროშია ხაზგასმული სიტყვა წინადადებაში: „ამ დროს, სწორედ ამავე ქუჩაზე დინჯად <u>მოდიოდა</u> თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილი დიდი მწერალი ილია ჭავჭავაძე.“?
    ა) ახლანდელში ბ) მომავალში გ) წარსულში
16. რომელ დროს გამოხატავს მოცემული წინადადება?
    ,,მერე პეპლები სათითაოდ დასხდნენ კლავიშებზე და პიანისტმა შეწყვიტა დაკვრა.“
    ა) წარსულ დროს ბ) მომავალ დროს გ) ახლანდელ დროს
17. ჩამოთვლილთაგან რომელს დაესმის კითხვა: რას იზამს?
    ა) წუწუნებს ბ) უხარია გ) მოეფერება

18. რომელ პირშია ზმნა „ასწავლის“?
ა) პირველ პირში ბ) მეორე პირში გ) მესამე პირში
19. რომელ პირშია ზმნა „ ვცეკვავდით“?
ა) პირველ პირში ბ) მეორე პირში გ) მესამე პირში
20. რომელ პირშია ზმნა „გიყვართ“?
ა) პირველ პირში ბ) მეორე პირში გ) მესამე პირში

სავარჯიშო II. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი: (30 ქულა)

21. რამდენი რთული სიტყვაა წინადადებაში: „ნაბიჯ-ნაბიჯ მწვერვალისკენ მიემართება.“
ა) ერთი ბ) ორი გ) სამი
22. რომელია სწორად დაწერილი რთული სიტყვა?
ა) დედმამი-შვილი ბ) ნელ-ნელა გ) ხელ-გამრჯე
23. რომელია მსგავსი მნიშვნელობის მქონე სიტყვები ანუ სინონიმები?
ა) მაღალი-დაბალი ბ) გრძელი-მოკლე გ) აალებული-ცეცხლმოდებული
24. რომელია საპირისპირო მნიშვნელობის მქონე სიტყვები ანუ ანტონიმები?
ა) აბარგება-წასვლა ბ) აბგა-ხურჯინი გ) აბნეული-დალაგებული
25. რომელია მსგავსი მნიშვნელობის მქონე სიტყვები ანუ სინონიმები?
ა) აბურდულად, დახლართულად ბ) აწეწილი, დავარცხნილი გ) გრილი, ცხელი
26. რომელ ბრუნვაშია ხაზგასმული სიტყვა წინადადებაში:
„ლურჯ მწვერვალებს ქარი რძისფერ ნისლში ხვევდა.““?
ა) სახელობითში ბ) მიცემითში გ) ნათესაობითში
27. რომელ ბრუნვაშია ხაზგასმული სიტყვა წინადადებაში: „საქართველოს მთებში გაგაჩინა ზენამ.“
ა) სახელობითში ბ) მოთხრობითში გ) მოქმედებითში
28. რომელ ბრუნვაშია ხაზგასმული სიტყვა წინადადებაში: „ ...და ფარავნის ტბასა ზედა ძრწოდა ქარი.“
ა) სახელობითში ბ) მოთხრობითში გ) ნათესაობითში
29. რომელ ბრუნვაშია ხაზგასმული სიტყვები წინადადებაში:
„კაცად მაშინ ხარ საქები, თუ ეს წესი წესად დარგე:
ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხო: ,,აბა, მე დღეს ვის რა ვარგე?“
ა) ნათესაობითში ბ) მოქმედებითში გ) ვითარებითში
30. რომელია მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი?
ა) მა, მ ბ) ვ გ) ო, ვ

სავარჯიშო III. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი: (10 ქულა)

31. ,,ქოქოლა დააყარა“ ანუ
ა) ნივთები გადაუცვივდა ბ) გაკიცხა გ) გადაიკისკისა
32. ,,გული მოუვიდა“ ანუ?
ა) გაბრაზდა ბ) ავად გახდა გ) გაუხარდა
33. მოცემულთაგან რა არ შეიძლება იყოს ,,წყნარი”?
ა) წვიმა ბ) საუბარი გ) ქარიშხალი
34. დაასრულეთ ანდაზა: „წინა კაცი უკანა კაცის ...“
ა) ხიდიაო ბ) გერდიაო გ) სამშობლოაო
35. დაასრულეთ ანდაზა: „წყალწაღებული ... „
ა) მდინარეს მიჰქონდაო ბ) ძლიერ გაცივდაო გ) ხავსს ეჭიდებოდაო